

# საპილოტაჟი პროექტი საინფორმაციო სისტემის შექმნა მონაცემთა გადაცემისა და მონიტორინგის მონიტორინგის ქსელისათვის ყვარელისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებისათვის

დაწყების თარიღი : 01-03-2014

დასრულების თარიღი: 30-11-2015

## პროექტის აღწერა:

საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია მიწისქვეშა წყლის რესურსების განვითარება და სათანადო დაცვა. მიწისქვეშა წყლების მართვა მოითხოვს მიწისქვეშა წყლის რესურსების სტატუსის ცოდნას მნიშვნელოვან აუზებში. ასეთი ცოდნის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მონიტორინგის ეროვნული სისტემებიდან.

საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი მიწისქვეშა წყლების აუზების (კოლხეთი, მუხრან-ტირითონი, მარნეული-გარდაბანი, ალაზანი-აგრიჩაი) მონიტორინგი დაიწყო დიდი ხნის წინათ. ამ მონიტორინგმა მოგვცა დიდი რაოდენობით მონაცემები წერილობითი სახით. 1991 წლიდან საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებიდან პოლიტიკური კრიზისის გამო მონიტორინგი შეწყდა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო არის დაინტერესებული მონიტორინგის სისტემის მოდერნიზაციაში მონაცემთა მოპოვების, გადაცემისა და დამუშავების თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვით, რაც შესაძლებლობას მისცემს ამ სააგენტოს უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული საბოლოო მომხმარებელი (მოსახლეობა, ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა) ობიექტური ცოდნით მიწისქვეშა წყლის რესურსების შესახებ. როგორც ბოლო დაკვირვებებით ირკვევა, ინფორმაცია არსებული ჭაბურღილების შესახებ, კერძოდ გამოყენებული თუ მიტოვებული არის თანაბრად მნიშვნელოვანი, რადგანაც ამას ხშირად მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია მიწისქვეშა წყლის რესურსებზე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს პრიორიტეტი ეხება გურჯაანის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებს. ეს აუზი არის არტეზიული; წყლის შემცველი ჰორიზონტები განლაგებულია 120-150 მ სიღრმეებში. მონაცემები ადრინდელი მონიტორინგის სისტემისა და ცული არაა მონაცემთა ბაზების სახით, თუმცა ძირითადად ისინი ხელმისაწვდომია.

ეს აუზი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ის გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანში. წყალი სუფთაა და გამოიყენება, როგორც სასმელი წყალი. ცხადია, რომ სათანადო მონიტორინგი მონაცემთა მოპოვებითა და გადამცემი სისტემით და ასევე ცენტრალური რეგისტრაციის საშუალებებით არის უადრესად მნიშვნელოვანი.

## პროექტის შედეგები :

მონიტორინგის საინფორმაციო სისტემის და ჭაბურღილების რეგისტრაციის პილოტური შესწავლა კომპლექსურად განაპირობებს შესაძლებლობებს მიწისქვეშა წყლის რესურსების მონაცემთა მოპოვების, გადაცემისა და დამუშავების თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვისათვის.

სააგენტოს ექსპერტები სწავლებას გაივლიან:

- მონიტორინგის მონაცემთა შეფასებაში;
- დისტანციური მონაცემების გადაცემის მეთოდებში;
- მონაცემთა მართვასა და მონიტორინგის ხელსაწყოებში;
- ჰიდროლოგიური ობიექტების მონაცემთა ბაზების შექმნაში;
- საინფორმაციო სისტემასთან მუშაობაში.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები შეფასებული იქნება საბოლოო ანგარიშში, შემდეგ საკითხებზე:

- უკვე დაკვირვებული აუზების ჭაბურღილების მონაცემთა მოპოვება და მათი ჰიდროგეოლოგიური თვისებები;
- ჭაბურღილიდან შეგროვებული მონაცემების გამოყენება, მონიტორინგს დაქვემდებარებული ჭაბურღილების ტექნიკური სტატუსის შეფასების მიზნით;
- მონიტორინგის სქემები და გეგმები;
- მონიტორინგს დაქვემდებარებულ ჭაბურღილის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჰიდროგეოლოგიური ობიექტების აღწერა, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ აუზის ჰიდრაულიკურ პირობებზე;
- ეროვნული მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის სისტემის და ცენტრალური ჭაბურღილის რეგისტრაციის მონაცემთა ბაზის შესახებ ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება.

**მიზნობრივი ტერიტორია :** კახეთი

**სფერო :** წყლის რესურსები

**დონორები :**

ჩეხეთის განვითარების სააგენტო (CzDA)

<http://www.czda.cz>

### **განმასტრუქებლები**

**ორგანიზაცია:** სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

**მისამართი:** დ. აღმაშენებლის გამზ., №150, თბილისი, 0112 საქართველო

**ვებ-გვერდი:** <http://meteo.gov.ge>

**საკონტაქტო პირი:** გიორგი გაფრინდაშვილი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი

**მობ:** +995591404043; **ელ-ფოსტა:** [gaprinda1609@yahoo.com](mailto:gaprinda1609@yahoo.com)

### **ბიუჯეტი**

სრული ბიუჯეტი: 40000 EUR

სრული გრანტი: 40000 EUR